

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი სხდომის

2020 წელი, 17 ივნისი
ქ. ოზურგეთი
11.00 საათი - 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, ბ.ქათამაძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, თ.გოგუაძე, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ნიჭარაძე, ვ.ჩხაიძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, თ.ტულუში, ვლ.ღლონტი, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის ანგარიშის მომოხილვისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ ანგარიში აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს, უკეთესი იქნებოდა, რომ მოხსენების პირველ ნაწილში ლაპარაკი არ ყოფილიყო ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებზე, სათამაშო ბიზნესიდან შემოსავლები არაა მიღებული, მაშინ როცა კანონმდებლობით კვარტალში ერთხელ უნდა შემოვიდეს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ანგარიშის შეფასებაში ეთანხმება ლ.ბიგვაჯას მოსაზრებას, ანალიზი კარგადაა გაკეთებული, წარმოდგენილია სამსახურების მიხედვით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ანგარიშზე და მხარი დაუჭირა მას.

საკრებულომ ცნობად მიიღო ანგარიში.

20.2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების სამუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 1-წინააღმდეგი.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ განაცხადა, რომ ჩაის კულტურის რეაბილიტაციისათვის გაწეული მუშაობა როგორც ქვეყანაში, ასევე მუნიციპალიტეტში არადამაკმაყოფილებელია, უნდა გაიზარდოს დაფინანსება, უკეთესი მდგომარეობაა სამეგრელოს რეგიონში, კარგია ტურიზმის განვითარება, მაგრამ აუცილებელია ჩაის რეაბილიტაცია-განუმარტეს, რომ უკვე მოწყობილია ჩაის სანერგე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ კომისიებმა იმსჯელეს გეგმაზე, შეიმუშავეს შენიშვნები, რომლებზედაც ისაუბრა მომხსენებელმა და განაცხადა, რომ გაითვალისწინებენ, მათ შორის სათაურში ცვლილების შეტანასაც, მაგრამ არც ეს და არც სხვა შენიშვნაც გათვალისწინებული არაა. კომისიები მხარს უჭერენ გეგმის დამტკიცებას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შენიშვნებზე არგუმენტირებული პასუხები არ იქნა წარმოდგენილი.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ბ.ქათამაძემ განაცხადა, რომ კომისიების სხდომაზე არ იყო საუბარი იმ შენიშვნებზე, რომლებზეც ახლა ლ.ბიგვაჯამ ისაუბრა, ამ განცხადებას მოჰყვა კამათი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ესწრებოდა საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას, სადაც განიხილეს ეს გეგმა, იყო მსჯელობა და შენიშვნებზე შეთანხმდნენ, ეს დოკუმენტი იქნება განახლებადი, კარგია როცა საკრებულოს სხდომაზე მიდის მსჯელობა, ამისთვისაა მოწოდებული თვითმმართველობის კოლეგიური ორგანო.

თანამომხსენებელმა ალ.მამეშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა შენიშვნები უფრო ადრე შემოსულიყო.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ კომისიებს აქვს უფლება საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები ასახოს დასკვნაში. კოლეგებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ გეგმის დამტკიცებას.

მიღებული იქნა 30 ხმით, ერთი-მ.ჩხიკვიშვილი-იყო წინააღმდეგი.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების შემდეგ განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა: თ.გოგუაძემ, რომელმაც ითხოვა მუნიციპალიტეტს მხარი დაეჭირა სოფელ ძიმითის მოსახლეობისათვის, ორი კომპანია მდინარე სუფსაზე აწყობს კარიერს, 46 მესაკუთრეს ართმევენ საყანე ფართობს, ლიცენზია გაცემულია 2017 წელს, შეგროვებულია 400-მდე ხელწერა.

ნ.ორაგველიძემ-ანასეულის დასახლების სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე, აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეა დასახლებას წყალი არ მიეწოდება, ირღვევა შეთანხმება სოფელ ლიხაურსა და დასახლებას შორის წყლის მორიგეობით მიღების თაობაზე. არის საშიშროება, რომ ახალი წყალსადენის მშენებლობა შეჩერდეს. ამ საკითხზე განმარტება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ-ახალი წყალსადენის მშენებლობა გრძელდება და დასრულდება, ლიხაურის წყალსადენზე მიმდინარეობს წყლის დამატებითი რესურსის ძიება და მდგომარეობა გამოსწორდება.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო